

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
აქტივები	381 583	250 587	400 980
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9 172	13 605	44 766
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	5 114	116 589
სხვა პირებსუ ვაშხნებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1 390 091	1 222 110	1 200 460
მარაგები	1 390 091	1 222 110	1 200 460
- მზა პროდუქცია	-	-	-
- სხვა	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	-	-
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
- თვითღირებულების მოდელით	-	-	-
- გადაყვასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	1 402	1 402	1 932
სხვა არამატერიალური აქტივები	750 308	800 595	826 427
ძირითადი საშუალებები	-	-	-
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	2 532 556	2 293 413	2 591 154
სულ აქტივები			
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	529 437	408 859	284 748
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	-
ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	43 759	47 772	44 766
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
გამოუმტკიცებელი შემოსავალი	-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	233 239	344 860	453 083
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	-	-	-
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	808 435	801 491	782 597
სულ ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (მპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კომპერატორის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	-	-	-
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	1 726 121	1 491 922	1 808 557
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-	-	-
გადაყვასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	1 726 121	1 491 922	1 808 557
სულ საკუთარი კაპიტალი	2 532 556	2 293 413	2 591 154
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
	1 000	1 000	1 000
სულ მოკლევადიანი აქტივები			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	14 754 923	14 401 558
საქონლის გაყიდვიდან	-	-
მომსახურების გაწვიდან	-	-
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	-	-
სხვა	(13 226 507)	(13 465 540)
გაყიდვების იჯიოღირებულება		
საწყისი მარაგები		

მარაგების შესყიდვა		
გადამცემების დანახარები		
საბოლოო მარაგები	1 528 416	936 018
ხაერით მოგება	-	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	(294 821)	(255 453)
დასაქმებულთა ანაზღაურება	(53 240)	(24 913)
ცვლელ/ამორტიზაციის ხარჯი	-	-
საპროცენტო შემოსავალი	(37 656)	(50 921)
საპროცენტო ხარჯი	(37 500)	(37 500)
იჯარის ხარჯი	(273 736)	(273 770)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(696 953)	(642 557)
სულ საოპერაციო ხარჯები	831 463	293 461
საოპერაციო მოგება		
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	-	-
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-	-
მიღებული დივიდენდები	109 911	89 325
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	941 374	382 786
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(117 701)	(120 474)
მოგების გადასახადის ხარჯი	823 673	262 312
ხანგარამგებო პერიოდის მოგება / (ზარალი)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	-	-
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და შეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელი	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	823 673	262 312
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		
	1 491 922	1 808 557
საკუთარი კაპიტალი ხანგარამგებო პერიოდის დასაწყისში	-	-
ახალი აქტივების გამოშვება (მას-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოორპერაციის შემთხვევაში 'საბაიო კაპიტალის გაზრდა')	(589 474)	(578 947)
განაწილება მესაკუთრეებს (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	1 726 121	1 491 922
საკუთარი კაპიტალი ხანგარამგებო პერიოდის ბოლოს		

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1 528 416	904 563
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(1 397 420)	(1 054 956)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	130 996	(150 393)
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-	-
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე	250 587	400 980
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ხანგარამგებო პერიოდის დასაწყისში	381 583	250 587
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ხანგარამგებო პერიოდის ბოლოს		

შპს „კარმილიცა“

სნ 443863062

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ერთეულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კარმილიცა“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. რეგისტრირებულია მეწარმეთა და არაამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2016 წლის 21 ივლისი, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. რეგისტრაციის ნომერი B16104546. საინდენტიფიკაციო კოდი 443863062

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით ან თამბაქოს ნაჭარმით. საზოგადოების რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: ხაშური ყიფიანთუბანი, ფაქტიური ქ. ხაშური ბაზრის მიმდებარე ტერიტორია

საზოგადოების დირექტორია გიორგი ღონღაძე პ/ნ 57001053658.

2. მომზადების საფუძველი

შპს „კარმილიცა“ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2024 წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

საზოგადოება ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე. გვაქვს პროგრამა ფინა, ყოველთვიურად ვაკეთებთ სასაქონლო ანგარიშს, ბანკში და სალაროში თანხების მოძრაობის ანგარიშს.

სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი, შესაბამისად ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას;
4. ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

4. განმარტებითი შენიშვნები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესახებ

4.1 ფული და ფულის ეკვივალენტი

ფული და ფულის ეკვივალენტი მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს.

დასახელება	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვ. ვალუტაში	375454	238425	399313
საბანკო ანგარიში ეროვ. ვალუტაში	6129	12461	1667
ჯამი:	381583	250886	400980

4.2 სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები

საზოგადოების სავაჭრო მოთხოვნები წარმოიშობა ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობიდან და მათი ოდენობა განისაზღვრება მომსახურებიდან გამომდინარე.

4.3 სასაქონლო-მატერიალური მარაგი

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობა აღირიცხება სასაქონლო ანგარიშში.

4.4 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით - თვითღირებულებით, რაც მოიცავს შეძენის ფასს,

შპს კარმილიცას ქონება 31,12,2024 წ. შეადგენს 750308 ლარს.

2024 წ. ქონებაზე ამორტიზაცია შეადგენს 53240 ლარს, ქონების გადასახადი დარიცხული და გადახდილია,

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებია:

- შენობა-ნაგებობები - 10-15 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი
- საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი - 5-10 წელი

ძირითადი საშუალების აღიარება შეწყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება

მოგება-ზარალში.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით - თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით.

4.5 გაუფასურება

ანგარიშგების თითოეული თარიღისათვის კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმ აქტივების გაუფასურების ნიშნები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას და ამორტიზაციას. აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება ფასდება გაუფასურებაზე. აქტივის გაუფასურების ზარალის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

საანგარიშგებო პერიოდისთვის ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა.

4.6 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მის სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

გარიგებებისა და მომსახურეობისთვის გადასახდელი თანხები მოიცავს ვაჭრობის შედეგად გამომუშავებულ თანხებს, რომლის გადახდაც მოხდება მომდევნო პერიოდში.

4.7 საგადასახადო ვალდებულებები

კომპანია რეგისტრირებულია დღგ ს გადამხდელად.

კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით.

საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული

თანხით).

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ საგადასახადო ვალდებულებას მოიცავს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც ბალანსში აისახება პერიოდის ბოლოს: გადასახდელი დღე, რომლის გადახდაც ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა, დარიცხული ქონების გადასახადი, რომლის გადახდაც ხდება მომდევნო საანგარიშო პერიოდში, არაუგვიანეს 1 აპრილისა.

4.8 სესხები

ბანკიდან ნასესხები თანხების საწყისი აღიარება ხდება მათი სამართლიანი ღირებულებით, გარიგებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით.

სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც იქნა გაწეული.

ნასესხები სახსრები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაფარი სესხის პირობები:

ბანკის დასახელება	ვალუტა	ხელშეკრულების თარიღი	დაფარვის ვადა	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2024
საქართველოს ბანკი	GEL	30.08.2021	01.09.2026	12.7	233239
სულ ნასესხები სახსრები ლარში 31,12,2024 სათვის					233239

4.9 გაუნაწილებელი მოგება

კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება, 1726121 ლარია და გაანაწილა 589474 ლარი დივიდენდი. გადახდილია შესაბამისად მოგების გადასახადი 117701 ლარი. კომპანიას აქვს გადახდილი სესხი % 37656 ლარი რომელიც

ასახულია მის ბალანსში. კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

5. განმარტებითი შენიშვნები საქმიანობის შედეგების ანგარიშგების შესახებ
კომპანიის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება-ზარალი ასახულია ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.

5.1 შემოსავლის აღიარება

შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია მომსახურების შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შედეგად

შემოსავალი მომსახურებიდან
არასაოპერაციო შემოსავალი
ჯამი:

2024

14754923

109911

14864834

5.2 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევისთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების

საფუძველზე.

5.3 დასაქმებულთა ანაზღაურება

ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საშემოსავლო და სხვა არსებული გადასახადით დაბეგრილი ხელფასი გაიცემა ეროვნულ ვალუტაში მუშაკის ხელზე გაცემით, რაც დასტურდება შესაბამის უწყისზე ხელმოწერით.

5.4 ცვეთა

ცვეთის აღიარება ხდება ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის

დარიცხვის წრფივი მეთოდით.

2024 წელში ცვეთა დაერიცხა 53240 ლარი

5.5 საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე.

2024 წელში საპროცენტო ხარჯი დარიცხულია 37656 ლარი.

5.6 სხვა ხარჯი

წარმოქმნილია ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობიდან.

5.7 დივიდენდები

დივიდენდი 2024 წელში გაიცა 589474 ლარი

6. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით,

რომელიც ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რომელიც ამონაგებისა და ხარჯების სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასავლებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

7. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ქონია.

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს.

შპს კარმილიცას დირექტორი



გ.ლონდაძე

გ.ლონდაძე